საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №42

201/ წ. „9“ 03.

ქ. თბილისი

შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრი "ანრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 9 მარტის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრი "ანრი" აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები**	**საფეხური**	**კრედიტები**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
1.	გემბანის მეზღვაური	III	60	გემბანის მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2.	სამანქანე განხოფილების მეზღვაური	III	60	სამანქანე განყოფილების მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცი

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 9 მარტის №4 სხდომის ოქმის მე-17 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია